

# ინფორმაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2023 წელს მიმდინარე პროგრამული  
ღონისძიებების შესრულების შესახებ

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2024 წელი

ბათუმი

სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის ქვეპროგრამა „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს მომსახურებას სთავაზობდა 11 ღონისძიების ფარგლებში.

- ღონისძიება „**მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა**“, რომელიც ითვალისწინებდა 0-6 თვის ასაკის ბავშვებში ულტრასონოგრაფიულ კვლევას და ორთოპედის კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში რენტგენოლოგიურ გამოკვლევას და ორთოპედის განმეორებით კონსულტაციას. ღონისძიებით მოსარგებლე იყო 0-6 თვის ასაკის ბავშვები (ერთჯერადად), რეგისტრირებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2023 წლის განმავლობაში ულტრასონოგრაფიული კვლევა და ორთოპედის პირველადი კონსულტაცია ჩატარდა 0-6 თვის ასაკის სულ 1372 ბავშვს, მათ შორის: ბათუმი-910, ქობულეთი - 146, ხელვაჩაური - 167, ქედა - 45, შუახევი - 41 და ხულო - 63. საჭიროების მიხედვით, რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა და გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩატარდა 228 ბენეფიციარს.


ღონისძიების ფარგლებში 18 %-ს (248) ჩატარდა დამატებითი (რენდგენოლოგიური) გამოკვლევა დიაგნოზის დადასტურების მიზნით. სულ მენჯ-ბარძაყის სახსრის სხვადასხვა პათოლოგია გამოვლინდა დაახლოებით 25 %-ში (344).

- ღონისძიება „**ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში**“ ითვალისწინებდა ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით მომსახურების ჩატარებას: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. ღონისძიებით მოსარგებლე იყო „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ ანტენატალურ კომპონენტში ჩართული ორსულები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

რეგიონის ტერიტორიაზე 2023 წელს მომსახურება გაეწია სულ 3283 ორსულს, მ.შ: ქალაქ ბათუმის ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში - 3132 ორსულს, ქობულეთში- 131 და ხულოს სამედიცინო დაწესებულებაში -20-ს.

გამოკვლევულ ბენეფიციართა 40 % (1312) -ში გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგია.

**გამოვლენილი პათოლოგიების წილი დაავადებათა ნოზოლოგიების მიხედვით**



- ღონისძიების ფარგლებში „**სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა**“ დაგეგმილი იყო პირველადი სკრინინგით გამოვლენილი სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებისათვის მეორადი სკრინინგის და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაღრმავებული კვლევების (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია) ჩატარება; ბენეფიციარები იყვნენ აჭარის მუნიციპალიტეტებში - ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო რეგისტრირებული ახალშობილები

2023 წელს ღონისძიების ფარგლებში ჩატარებული კვლევები: მეორეული სკრინინგი 40 (მ.შ. ქობულეთი -23, ხელვაჩაური -7, ქედა -3, შუახევი -4, ხულო - 3, ტიმპანომეტრია - 37, ტვინის ღეროს სმენის პასუხის მარტივი ტესტი - 6. გამოკვლევების შედეგად სმენის პათოლოგია არ გამოვლენილა.

- ღონისძიება „**ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში**“ ითვალისწინებდა ალერგიულ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, დიაგნოსტიკას, რომელიც მოიცავდა: ალერგოლოგის კონსულტაციას, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევას, კანის პრიკ ტესტს არაინფექციური ალერგენებით, სისხლის შრატში საერთო IgE -ს განსაზღვრას. ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეეძლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ, ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მიერ რეფერირებულ 6-დან 12 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს.


ღონისძიებით ისარგებლა 450 პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებულმა ბენეფიციარმა, რომელთაც ჩაუტარდათ ალერგოლოგის კონსულტაცია, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე. სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა ჩაუტარდა 150 ბენეფიციარს. ბენეფიციარები მუნიციპალიტეტების მიხედვით: ბათუმი -163, ქობულეთი -40, ხელვაჩაური -144, ქედა -67, შუახევი -21, ხულო - 15.

გამოკვლევულ ბენეფიციართაგან ბრონქული ასთმის დიაგნოზი დაისვა 15 %-ში (67), ბრონქიტი ასთმური კომპონენტით -27.5% (124), ატიპიური დერმატიტი - 14% (63), ფილტვის ობსტრუქციული დაავადება -10% (43), ალერგიული ეტიოლოგიის სხვადასხვა დაავადება - დაახლოებით 21.5 %-ს (97), სხვა დაავადებები - 46 (10), პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო გამოკვლევულთა 2% (10).


- ღონისძიება „**აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში**“ აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკისა და დროული მართვის მიზნით ითვალისწინებდა პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებული რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-7 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვთა სკრინინგს და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკას აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით (ADOS).

საანაგარიშო პერიოდში ღონისძიებით ისარგებლა 362-მა ბენეფიციარმა, მათ შორის ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩატარდა 349 ბენეფიციარისთვის, ADOS ტესტი - 290.

**ღონისძიების ბენეფიციარები მუნიციპალიტეტების მიხედვით**



**დიაგნოსტიკის შედეგების ხვედრითი წილი დიაგნოზების მიხედვით**



- ღონისძიების **“C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის”** ფარგლებში რეგიონის მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილი იყო სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება 18 წლის ზემოთ ნებისმიერი პირისთვის.

ღონისძიების შემსრულებელი ბათუმისა და ქობულეთის სამედიცინო დაწესებულებების მიერ საანაგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩატარდა 17403 ბენეფიციარს, სკრინინგის შედეგად გამოვლენილი საექვო შემთხვევები - C ჰეპატიტზე დადებითი -106, აივ ინფექცია/შიდსზე - 2, ტუბერკულოზზე - 4.

- ღონისძიება **“ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში, რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ ბავშვებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა”** ითვალისწინებდა სისხლში ტყვიის შემცველობის დონის განსაზღვრას გრაფიტული აბსორბციის ატომური სპექტრომეტრული ან/და პლაზმური მასპექტრომეტრული მეთოდით აჭარის ა.რ. სამედიცინო დაწესებულებებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ ანტენატალური კომპონენტით მოსარგებლე ორსულებისა და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ქალებისათვის, აგრეთვე პჯდ ქსელიდან რეფერირებული 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სისხლში ტყვიის განსაზღვრის ღონისძიებების ფარგლებში სულ 17570 კვლევა ჩატარდა 16272 ბენეფიციარს. კვლევის შედეგის მიხედვით ჩატარდა 1298 განმეორებითი კვლევა.


ღონისძიების ფარგლებში პირველადი კვლევა ჩატარდა 2945 ორსულს, აგრეთვე ლაქტაციის პერიოდში მყოფ 114 ქალს, რომელსაც ორსულობისას სისხლში ტყვიის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ.

ღონისძიების ფარგლებში პირველადი კვლევა ჩატარდა 7-14 წლის ასაკის 13213 ბავშვს.


**ორსულთა პირველადი კვლევის შედეგები:** 671 (22.8%) ბენეფიციარს გამოუვლინდა სისხლში ტყვიის დონე  $\geq 5$  მკგ/დლ, ხოლო მათ შორის  $\geq 5$ - $<10$  მკგ/დლ ჰქონდა გამოკვლეულთა 19.2%-ს (566);  $\geq 10$  -  $<15$  მკგ/დლ - 2.8%-ს(81);  $\geq 15$ -  $< 25$  მკგ/დლ - 0.7% (22);  $\geq 25$  მკგ/დლ -0.1% (2).


**7-14 წლის ბავშვების პირველადი კვლევის შედეგები:** 2362 (17.9%) ბენეფიციარს გამოუვლინდა სისხლში ტყვიის დონე  $\geq 5$  მკგ/დლ, ხოლო მათ შორის  $\geq 5$ - $<10$  მკგ/დლ ჰქონდა გამოკვლეულთა 14.9%-ს (1969);  $\geq 10$  -  $<15$  მკგ/დლ - 2.2 %-ს(288);  $\geq 15$ -  $< 25$  მკგ/დლ - 0,8% (100);  $\geq 25$  მკგ/დლ - 0,04% (5).

**ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შედეგების ხვედრითი წილი (1)**



**ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შედეგების ხვედრითი წილი (2)**





- ღონისძიება **“სისხლში ტყვიის მაღალი ექსპოზიციის მქონე ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემოს შესწავლა”** ტყვიის პოტენციური წყაროების დადგენის მიზნით ითვალისწინებდა იმ ბენეფიციართა ოჯახებში, რომელთა სისხლში ტყვიის კონცენტრაცია შეადგენდა ან მეტი იყო 10 მკგ/დლ-ზე, კვლევების ჩატარებას. ლაბორატორიული კვლევისათვის ნიმუშების შერჩევა/აღება ხდებოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ეპიდკვლევისა და სწრაფი დიაგნოსტიკის შემდეგ განსაზღვრული საჭიროებიდან გამომდინარე. კვლევის მეთოდი: ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრით ან ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მასპექტრომეტრით ან მიგრაციის მეთოდით.

2023 წელს NCDC-ის ჯგუფთან ერთად შესწავლილი იყო 234 ოჯახი, მ.შ. ბათუმი-142, ქობულეთი -40, ხელვაჩაური -34, ქედა - 6, შუახევი -2, ხულო -10. ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იყო 3600 ნიმუში. ტყვიის მაღალი შემცველობა გამოვლინდა - მშრალ ლაქ-საღებავში 44 ოჯახიდან აღებულ 67 ნიმუშში, სხვადასხვა სუნელ-საკმაზი - 32 ოჯახში აღებულ 39 ნიმუშში.

- ღონისძიება **“მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის”** ორსულობის პერიოდის სწორად წარმართვისა და ჯანმრთელი ახალშობილის დაბადების მიზნით, ორსულებში ითვალისწინებდა სასწავლო/საინფორმაციო კურსის სახით 6 ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებას სხვადასხვა სპეციალისტის მონაწილეობით (მეან-გინეკოლოგი, ნეონატოლოგი, ფსიქოლოგი, ფიზიკური თერაპევტი).

საანაგარიშო პერიოდში ღონისძიებით ისარგებლა 336 ბენეფიციარმა, ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა - 1485

- ღონისძიება **“ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი”** თანდაყოლილი მეტაბოლური დარღვევების დროული აღმოჩენის მიზნით ითვალისწინებდა აჭარის სამედიცინო დაწესებულებებში ახალშობილებში სკრინინგს მეტაბოლურ-გენეტიკურ დაავადებებზე, სკრინინგით დადებითი შემთხვევისას კი კონკრეტული დაავადების დამადასტურებელი კვლევის უზრუნველყოფას. ბენეფიციარები იყვნენ აჭარის ა.რ. რეგისტრირებული 0-1 თვის ახალშობილები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და/ან მშობელთაგან ერთერთი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

და/ან მეტაბოლური დარღვევების განვითარების მხრივ მაღალი რისკის მქონე ახალშობილები.

საანაგარიშო პერიოდში 905 ახალშობილს ჩატარდა პირველადი სკრინინგული კვლევა, და 9 საექვო შემთხვევის კონფირმაციული კვლევა, დიაგნოზი დადასტურდა 1 შემთხვევაში.

- ღონისძიების **”სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი“** ფარგლებში სპორტული აქტივობის უსაფრთხოებისა და არაკეთილსაიმედო გამოსავლების თავიდან აცილების მიზნით სპორტის სხვადასხვა სახეობაში მისაღებ/ჩართულ 500 ბავშვს ჩატარდა ჩაღმავებული კარდიოლოგიური კვლევა, სხვადასხვა პათოლოგია გამოვლინდა 16 შემთხვევაში.